ს(ს)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2020 წლის 09.07 ბრძანება N128/01-01 საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 21 ივლისის N68/2020 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **11 სექტემბერი 2020 წ.**

12.00 საათი, თსუ 1 კორპუსი, აუდიტორია №310

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი: ზაზა სხირტლაძე (კომისიის თავჯდომარე), ნათელა ჯაბუა (კომისიის თავჯდომარის მოადგილე), ირინა კოშორიძე (კომისიის მდივანი), ინგა ქარაია, ლელა წიწუაშვილი.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ზაზა სხირტლაძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ნინო სიმონიშვილმა.

ნინო სიმონიშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, 1 მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ნინო სიმონიშვილის კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა სიმონიშვილი ნინო.

კომისიის თავმჯდომარე:		ზ. სხირტლაძე
მოადგილე:		ნ. ჯაბუა
წევრები:		ი. ქარაია
		ლ. წიწუაშვილი
კომისიის მდივანი:		ი. კოშორიძე

11.09.2020